

ტრანსფერის მნიშვნელობა და მისი სახეები


მეოცე საუკუნის დასაწყისში ამერიკელმა ფსიქოლოგებმა პირველებმა გამოიყენეს ცოდნის ტრანსფერის ხარისხის გასაზომი ტესტები. მათ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული იმდროინდელი შედეგების გამოკვლევა სურდათ. მათი ერთ-ერთი მიზანი იყო, შეემოწმებინათ ეგრეთ წოდებული „**ფორმალური დისციპლინის**“ დოქტრინა, რომელიც იმხანად ძალიან იყო გავრცელებული განათლებაში. ამ დოქტრინის თანახმად, რაიმე საგნის, მაგალითად, ინგლისური ენის ან გეოგრაფიის სწავლისას მოსწავლე იღებს უფრო ეფექტურ განათლებას, ვიდრე უბრალოდ საგნის ცოდნაა, ანუ პარალელურად იძენს სწავლის ზოგად უნარებს.

ამ დოქტრინის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის ფსიქიკა ზოგადი უნარების კრებულია - ისეთებისა, როგორიცაა დაკვირვება, ყურადღება, ამოცნობა, მსჯელობა - და ეს უნარები ვარჯიშის შედეგად ვითარდება.


ამ და სხვა კვლევების შედეგად მეცნიერებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, რომ კონკრეტულ სფეროში კომპეტენტურობის განვითარება ხდება ამ სფეროს პრობლემების გადაწყვეტის წესებისა და საკითხის დინამიკური, ხანგრძლივი შესწავლის შემდეგ.

თუ შევაჯერებთ მეოცე საუკუნის განმავლობაში ცოდნის ტრანსფერის შესახებ მიმდინარე მსჯელობებს, მივიღებთ ასეთ სქემას:


მოსაზრება: სწავლაზე დახარჯულ დროს აქვს უდიდესი მნიშვნელობა



უკიდურესი კომპეტენტურობა სწავლის დამოკიდებული და არა ნიჭზე	მოსაზრება: მთლიანად ხანგრძლივობაზეა
----------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------



მაგალითი: აზიის ქვეყნებში მათემატიკაში მოსწავლეთა წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ იქ ორჯერ მეტ დროს ანდომებენ მათემატიკის სწავლას, ვიდრე სხვა ქვეყნებში.



მოსაზრება: არსებობენ ადამიანები, რომლებიც დიდხანს თამაშობენ ჭადრაკს ან მისდევენ რაიმე სპორტს, მაგრამ განსაკუთრებულ შედეგებს ვერ აღწევენ.

ზოგადი დასკვნა: ტრანსფერული ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული სწავლებისას გადამწყვეტია მიზანმიმართული პრაქტიკა, რომლის დროსაც მოსწავლეს აქვს დიდი მოტივაცია სწავლისთვის და არა უბრალოდ დავალებების შესასრულებლად.

მაგალითი: მოსწავლეთა ორ ჯგუფს მშვილდ-ისრის მიზანში სროლა დაავალეს. სამიზნე მოათავსეს წყალში. ერთ ჯგუფს აუხსნეს სინათლის სხივების გარდატეხის კანონი, რომელიც ხსნის, რომ წყალში მოთავსებული სამიზნის მდებარეობას ცდომილება ახასიათებს /რეალურად სხვაა, ჩანს სხვაგვარად/. მეორე ჯგუფისთვის ეს არ აუხსნიათ, მაგრამ დიდხანს ვარჯიშის საშუალება მისცეს. საბოლოოდ ორივე ჯგუფის შედეგი თითქმის ერთნაირი აღმოჩნდა, მაგრამ როცა სამიზნეს ადგილმდებარეობა შეუცვალეს, იმ ჯგუფმა, რომელსაც იცოდა სხივების გარდატეხის კანონი, უფრო უკეთესი შედეგი აჩვენა, რადგან ამ ჯგუფის წევრებს ესმოდათ პრობლემის არსი და უფრო ადვილად იპოვეს მისი გადაჭრის გზა, ანუ მოახდინეს ცოდნის ტრანსფერი.

დასკვნა: ცოდნის ტრანსფერი განპირობებულია ნასწავლი მასალის გაგების დონით და არა დამახსოვრებული ფაქტებისა და პროცედურების კრებულით.

სწავლა მიბმულია იმ კონტექსტს, რომელშიც ხორციელდება, ამიტომ უფრო ეფექტანია საკითხის სწავლება მრავალ კონტექსტში, როცა სწავლა ნასწავლის გამოყენების მაგალითებსაც შეიცავს.

ადიარებულია, რომ მეტისმეტად კონტექსტუალიზებული ცოდნა ხელს უშლის ტრანსფერს. ამის დასაძლევად არსებობს სხვადასხვა მიდგომა:

1. მსგავსი პრობლემის წამოჭრა, რათა მოსწავლემ შეძლოს ზოგადი პრინციპების აბსტრაგირება;
2. კონკრეტულ კონტექსტში სწავლა და შემდეგ კითხვის **რა მოხდება, თუ (what if)** დასმა. მაგალითად, რა მოხდება, თუ შევცვლით პრობლემის ერთ ნაწილს და ა.შ;

3. განზოგადება, როცა მოსწავლეებს ევალებათ არა კონკრეტული პრობლემის, არამედ პრობლემათა მთელი კლასის გადაჭრა.

ტრანსფერს ხელს უწყობს სწავლება, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს, წარმოაჩინონ პრობლემები აბსტრაქციის რაც შეიძლება მაღალ დონეზე. განათლების სპეციალისტებს უჭირთ გარკვევა, რა შემთხვევაში ხდება ან არ ხდება ტრანსფერი. მაგალითად, ბუნებისმეტყველების მასწავლებლები გამუდმებით ჩივიან, რომ მათ თავიდან უხდებათ მოსწავლეებისთვის - კარგებისთვისაც კი - ისეთი მათემატიკური საკითხების სწავლება, როგორცაა პროცენტი, გრაფიკის აგება, რიცხვის ათწილადად წარმოდგენა და ა.შ.

რისი ბრალია ეს?

ფაქტია, გარკვეულ უნარს ადამიანი თავდაპირველად კონკრეტული შინაარსის საფუძველზე ეუფლება. თუ უნარს ვავითარებთ მხოლოდ ერთი ტიპის შინაარსთან მიმართებით და არ ვითვალისწინებთ, რომ ეს უნარი მოსწავლემ სხვა შინაარსთან მიმართებითაც უნდა გამოიყენოს, მას ტრანსფერის განხორციელება გაუჭირდება.

პედაგოგიკის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ საჭიროა სწავლების საგანგებოდ დაგეგმვა, რომ ტრანსფერი განხორციელდეს.

ტრანსფერს ხელს უწყობს შემდეგი პირობები:

1. ცოდნა, რომლის ტრანსფერიც ხდება, უნდა იყოს მიზეზშედეგობრივი მიმართების შემცველი;
2. სწავლების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ შეძენილი გამოცდილების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სიტუაციაში;
3. სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა აღმოაჩინოს ამოცანის გადაჭრის ძირითადი პრინციპები.

გამოყოფენ ტრანსფერის ორ ძირითად ფორმას.

პირველ შემთხვევაში გაკვეთილზე განხილულ თემას **ანალოგიურ თემებთან ვაკავშირებთ**. ტრანსფერის განხორციელება არ არის რთული. საკმარისია, მასწავლებელმა გარკვეული დრო დაუთმოს საკითხის ფართო განხილვას და მოსწავლეთა ყურადღება გაამხვილოს სხვა სფეროებში არსებულ ანალოგიურ მოვლენებზე.

ტრანსფერის მეორე ფორმის დროს ხდება შესასწავლი საკითხის ძირითადი პრინციპების ღრმად გაგება. ამის განხორციელება შესაძლებელია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით. პრობლემაზე მუშაობით მოსწავლეები იძენენ ცოდნას და უნარ-ჩვევებს, რომელიც შეიძლება თავისუფლად გამოიყენონ სხვა პრობლემის გადაჭრის დროს.

მაგალითად, ლიტერატურის მასწავლებელი ასწავლის მოსწავლეს ფაქტებისა და ავტორის დამოკიდებულების ამოცნობას ლიტერატურულ ნაწარმოებში. მასწავლებელმა უნდა დაავალოს მოსწავლეს იმავე ოპერაციის შესრულება სხვა ტიპის ტექსტზე, მაგალითად, ისტორიულ წყაროზე.

მასწავლებელი იმისთვის ასწავლის, რომ მოსწავლემ შეძლოს ნასწავლის გადატანა ერთი პრობლემიდან მეორეზე, როგორც ერთი საგნის ფარგლებში, ასევე სხვა საგნებში და ცხოვრებისეულ სიტუაციებშიც.